



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2934/ს



31/12/2020

2934-11-4-202012311200

**სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის I, II, III და IV ხარისხის (ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (მორი)-სულ - 407,166 მ<sup>3</sup> საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N965) გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 28 იანვრის დასკვნის N5000486920, ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების და შიდა ქართლის სატყეო სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 დეკემბრის N26082/03 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N965 შიდა ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ გორის სატყეო უბანი, ორმოცის სატყეოს N27 კვარტალში (ლიტ. 13) სპეციალური ჭრის შედეგად დამზადებული 407,166 მ<sup>3</sup> წიწვოვანი სახეობის (ნაძვის, სოჭის და ფიჭვის ) **I, II, III და IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.**

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლებამოსილებები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურს, სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი